ხოლერას პანდემია გაზეთ ,,ივერიაში“: სარედაქციო პოლიტიკა და გაშუქების თავისებურებანი

მარი წერეთელი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ქართულ პრესაში პანდემიის კომპლექსურად გაშუქების გამოცდილება იწყება მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან, ხოლერას მეხუთე პანდემიის გავრცელების პერიოდიდან. საკვლევი თემა ნაშრომში შესწავლილია ქართული დემოკრატიული ჟურნალისტიკის კლასიკური ნიმუშის, გაზეთ ,,ივერიის“ პუბლიკაციათა მაგალითზე.

მასალის კლასიფიკაციის, მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებისა და კონტექსტურად შესწავლის შედეგად, კონტენტ-ანალიზის მეთოდით გამოიკვეთა ხოლერას პერიოდის ,,ივერიის“ სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც გაზეთის რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის სტრატეგიულ ხედვას წარმოაჩენს და ქმნის გამოცემის დღის წესრიგს. კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია, რისი მეშვეობითაც განისაზღვრა ,,ივერიაში“ პანდემიის გაშუქების მთავარი მახასიათებლები, პუბლიცისტური სტატიების ქვეტექსტები და გზავნილები.

1892 წელს ხოლერა გავრცელდა რუსეთის მთელ იმპერიაში, კასპიისპირეთის რეგიონში, აზიისა და ევროპის ქვეყნებში. გამოცემა თანმიმდევრულად და ოპერატიულად აშუქებდა პანდემიას. ხოლერას თემაზე ,,ივერიის“ პუბლიცისტიკა მოიცავს ახალ ამბებს, მიმოხილვებს, მეთაურ და თემატურ სტატიებს, რომელთა ავტორებიც იყვნენ: ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყიფშიძე, სტეფანე ჭრელაშვილი, იოსებ ბოცვაძე, ალექსანდრე ნიკიტინი, გრიგოლ გველესიანი და სხვ. პუბლიკაციები ხასიათდება მკვეთრი მიზანდასახულობით, თემები გააზრებულია სიღრმისეულად, ავტორები საკითხებს განიხილავენ განსხვავებული აზრობრივი დატვირთვით, ინდივიდუალური აღქმითა და მნიშვნელოვანი პუბლიცისტური აქცენტებით, რაც ხოლერის ეპიდემიას, როგორც კრიზისს, ფართო პოლიტიკური და სოციალური რაკურსით წარმოაჩენს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ,,ივერიის“

კორესპონდენტთა პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ინფორმაციული და ანალიტიკური რაკურსით აცნობს მკითხველს სხვადასხვა რეგიონში ინფექციის მიმდინარეობის პროცესს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. პანდემიისათვის თანამდევია დეზინფორმაციის ნაკადი, მითები და ხატები, რისგანაც არც იმდროინდელი სინამდვილე ყოფილა დაზღვეული. ,,ივერია" ყალბ ინფორმაციას უპირისპირებდა არგუმენტირებულ სიმართლეს. პარალელისათვის საინტერესოა თანამედროვე პანდემიის, კოვიდ 19-ის მაგალითი, როდესაც მასმედია არც თუ იშვიათად თავად ავრცელებს დეზინფორმაციის ნაკადს - ,,ინფოდემიას", რაც განსხვავებულ ნარატივებს ქმნის და მოტივირებულია გეოსტრატეგიული, პოლიტიკური და კომერციული ინტერესებით.
კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ გაზეთი ,,ივერია" პანდემიას, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, კონცეპტუალური სარედაქციო პოლიტიკით აშუქებდა და თანამედროვე მედიისთვისაც პასუხისმგებლიანი გამოცემის თვალსაჩინო მაგალითია.

საკვანძო სიტყვები: ილია ჭავჭავაძე, ივერია, პანდემია, ხოლერა

Abstract

The experience of complex coverage of the pandemic in the Georgian press dates back to the 1890s, the period of the spread of the Fifth Cholera Pandemic. The research topic of the paper is studied in the context of the publications of the newspaper "Iveria" being a classic example of the Georgian democratic journalism.

As a result of classification of the material, observation of current events and contextual study, Iveria editorial policy during the Cholera period was revealed by use of the content analysis method, which presents the strategic vision of the newspaper's editor, Ilia Chavchavadze, and creates the publication agenda.
Framing theory is used as a theoretical framework for the research, through which the main characteristics of pandemic coverage in Iveria, subtexts and messages of publicist articles were determined.

In 1892 cholera became widespread throughout the Russian Empire, the Caspian region, in Asian and European Countries. The publication consistently and promptly covered the pandemic. Iveria's

publicism as regard to the Cholera issues includes news, reviews, editorial and thematic articles by Vazha Pshavela, Aleksandre Kipshidze, Stefane Chrelashvili and others. The publications are characterized by their clearly defined purpose, the topics are deeply thought out, with different semantic meaning, individual perceptions and significant publicistic emphasis, which demonstrate the cholera epidemic, as a crisis, with a broad political and social perspective.

The pandemic is accompanied by a stream of disinformation, myths and icons, which was typical of the reality of that time as well. "Iveria" contradicted the false information with the well-argued truth. For the purpose of comparison, an example of a modern pandemic, Covid-19, is interesting, when the mass media not infrequently spreads a stream of disinformation - "infodemia", which creates different narratives and is motivated by geostrategic, political and commercial interests.

The results of the research confirm that the newspaper "Iveria" covered the pandemic with a conceptual editorial policy taking into account the interests of the country and is a clear example of responsible publication even for the modern media. Obviously, the "time factor" plays a big role in the quality of mass media, however the experience of Georgian classical journalism is still relevant today.

Keywords: Ilia Chavchavadze, Iveria, pandemic, cholera

შესავალი

ქართულ ჟურნალისტიკაში პანდემიის მედიაასახვის გამოცდილება იწყება მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც პერიოდულ გამოცემებში ფართოდ გაშუქდა 1892 წელს გავრცელებული ხოლერას პანდემია და როგორც სოციალური და კულტურული მოვლენა, უკვე ამ პერიოდიდან გახდა სინთეზური და კომპლექსური ასახვის საგანი. საკვლევი თემა ნაშრომში შესწავლილია ქართული დემოკრატიული ჟურნალისტიკის კლასიკური ნიმუშის, გაზეთ ,,ივერიის“ პუბლიკაციათა მაგალითზე, რაც კვლევის სიახლეა, ვინაიდან ხოლერას პანდემიის პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციები დღემდე არ ყოფილა საგანგებო შესწავლის ობიექტი.

ხოლერა ერთ-ერთი უძველესი ინფექციური დაავადებაა, რომელიც ეპიდემიებისა და პანდემიების სახით, პერიოდულად უბრუნდებოდა კაცობრიობას და მოითვლის შვიდ მასშტაბურ გამოვლინებას. 1892 წელს გავრცელებული ხოლერა მეხუთე პანდემიაა,

რომელიც მოედო რუსეთის მთელ იმპერიას, კასპიისპირეთის რეგიონს, აზიისა და ევროპის ქვეყნებს. გაზეთმა „ივერიამ“ ჯერ კიდევ 1890 წელს, 15 მარტისა და 15 ივნისის ნომრებში (2 წლით ადრე, ვიდრე საქართველოში დაავადება გაჩნდებოდა) ყურადღება გაამახვილა ირანში გავრცელებულ ხოლერაზე. ამ წინმსწრებ საგაზეთო მასალებს ერთგვარი პრევენციული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგ., ,,ნარკვევის“ რუბრიკით გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში აღნიშნულია: ,,დიდი ხანია ხმა დადიოდა, რომ სპარსეთში ხოლერა მძვინვარებსო, და ძალიანაც ჰშიშობენ, აქაც არ გადმოვიდეს ეს საშინელი და ადამიანის მომსვრელი ჭირიო“ (ივერია 1890, გვ.3).

ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი ,,ივერია“ ინფექციასთან ბრძოლის ავანგარდში აღმოჩნდა, პრაქტიკულად, სწორედ მან შემოინახა იმუამად რუსეთის იმპერიის ტყვეობაში მყოფი საქართველოს, რუსეთის იმპერიის რეგიონების, ევროპისა და თუ აზიის ცალკეულ ქვეყნებში იმხანად განვითარებული მოვლენები, ასახა პანდემიის მიმდინარეობის საგაზეთო, საკმაოდ მოცულობითი სურათი.

თემის აქტუალურობას განაპირობებს თანამედროვე კოვიდპანდემიის მასშტაბები და შედეგები, რაც, უწინარეს ყოვლისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აისახება. ამავდროულად, მან წარმოაჩინა ბევრი პრობლემა და მედიის ნეგატიური მხარეც, რაც საგანგებოდ საკვლევი თემაა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კოვიდპანდემიის პირობებში მედიისათვის შემუშავდა ცალკეული რეკომენდაციებიც, რომლებიც ჟურნალისტის ერთგვარი გზამკვლევია აღნიშნული თემის სწორად გასაშუქებლად. ამ ვითარებაში უთუოდ მნიშვნელოვანია, კლასიკური გამოცემის, ,,ივერიის“ მიერ პანდემიის გაშუქების სარედაქციო პრაქტიკის შესწავლა და გაანალიზება, მით უფრო, რომ პანდემია, როგორც გლობალური მოვლენა, დროდადრო უბრუნდება კაცობრიობას და განაპირობებს თანამედროვეობასა და წარსულს შორის ერთგვარ უწყვეტ კავშირს, აგროვებს მასთან ბრძოლის ისტორიულ გამოცდილებას და გადასცემს შემდგომ თაობებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს პირველადი წყაროების - გაზეთ ,,ივერიაში" გამოქვეყნებული მასალის მოძიებას, სისტემატიზებასა და დამუშავებას. საკვლევი საკითხი შესწავლილია 1892 წელს, ხოლერას მეხუთე პანდემიის პერიოდში, საქართველოსა და მსოფლიოში განვითარებული საზოგადოებრივ და სოციალურ მოვლენებზე კომპლექსურად დაკვირვებით - მასალის კლასიფიკაციისა, და კონტექსტურად შესწავლის შედეგად. ასევე კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, რომლითაც შესაძლებელი გახდა საგაზეთო ტექსტების შინაარსობრივი ანალიზი, რათა გამოკვეთილიყო ძირითადი თემები თუ ტენდენციები, საკვლევ კატეგორიებად შერჩეული ერთეულების: ჟანრის, თემის, მოვლენისა და პუბლიცისტური ტექსტების გზავნილების მეშვეობით.

კონტენტ-ანალიზის მეთოდით გამოიკვეთა ხოლერას პერიოდის ,,ივერიის" სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც, ცხადია, გაზეთის რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის სტრატეგიულ ხედვას წარმოაჩენს და ქმნის გამოცემის დღის წესრიგს. ვფიქრობთ, მას კომუნიკაციის თეორიების მოშველიება ჟურნალისტიკის ისტორიული გამოცემების შესასწავლად, ხელს შეუწყობს მათ თანამედროვე წაკითხვასა და აღქმას. ამიტომაც, კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ფრეიმინგი, რომლის მეშვეობითაც ,, ყალიბდება საინფორმაციო ჩარჩო, ანუ ნაჩვენებია, თუ როგორ არის თემები და მოვლენები ორგანიზებული და როგორ მიეწოდება იგი აუდიტორიას, მედია ფოკუსირებულია კონკრეტულ მოვლენებზე და შემდეგ ათავსებს მათ სემანტიკურ ველში" (Davie, G. 2014). განისაზღვრა, თუ რა ჩარჩოებსა და კონტექსტში გააშუქა გამოცემამ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, გამოიკვეთა ,,ივერიაში" პანდემიის გაშუქების მთავარი მახასიათებლები, პუბლიცისტური სტატიების ქვეტექსტები და გზავნილები.

1892 წლის ივნისის დასაწყისიდან (#115), ნოემბრის ბოლომდე (#250), ექვსი თვის განმავლობაში, ,,ივერიის" საინფორმაციო და ანალიტიკური პუბლიკაციების ფოკუსში ექცევა ხოლერა, როგორც უმნიშვნელოვანესი თემა. აღნიშნულ საკითხზე გაზეთმა სულ 152 პუბლიკაცია გამოაქვეყნა, რაც საკმაოდ მრავალფეროვანი მასალაა, როგორც შინაარსობრივად, ასევე, გაშუქების სპეციფიკის თვალსაზრისითაც. საგაზეთო მასალა წარმოდგენილია სხვადასხვა ჟურნალისტური ჟანრით. ესენია: ახალი ამბავი (ე. წ. ნიუსი),

მიმოხილვა, პრესის მიმოხილვა, ნარკვევი, ღია წერილი, მეთაური და თემატური სტატიები. გარდა ამისა, დროდადრო იბეჭდება თარგმნილი მასალა და მხატვრული ნაწარმოებები.

თანამედროვე მედიის მიერ დღის წესრიგის ფორმირება გულისხმობს რომელიმე კონკრეტული თემის მიმართ მედიააუდიტორიის ყურადღების მიქცევას, რის შედეგად ესა თუ ის საკითხი/თემა მასმედიაში უფრო აქტიურად და მეტი აქცენტირებით შუქდება: - ,,დღის წესრიგის ფორმირება - ეს არის მასმედიის მიერ გარკვეული საკითხების ხშირი და გამორჩეული წარდგენის პროცესი, იმ შედეგით, რომ აუდიტორიის დიდი ნაწილი ამ საკითხებს უფრო მნიშვნელოვნად აღიქვამს, ვიდრე სხვებს“ (Coleman, R., McCombs M., Shaw D., Weaver D., 2009, გვ. 147). თუ დღის წესრიგის თეორიულ მოდელს მივუსადაგებთ გაზეთ ,,ივერიას“, ჩვენი საკვლევი თემის კუთხით, დავრწმუნდებით, რომ პანდემიის თემის გაშუქება ეფუძნება ინფორმაციის ორგანიზებულ, მიზანდასახულ მიწოდებას, რომლის შედეგად იქმნება გაზეთის სარედაქციო პოლიტიკა. ცხადია, ამ პოლიტიკის შემოქმედია გაზეთის რედაქტორი - ილია ჭავჭავაძე.

მასალის მოძიებისა და გაცნობის შედეგად ფორმულირებულია შემდეგი საკვლევი კითხვები:

1.იკვეთება თუ არა გაზეთ ,,ივერიის“ პუბლიკაციებიდან პანდემიის გაშუქების კონცეპტუალური სარედაქციო პოლიტიკა?

2. რა მედიასპეციფიკით ხასიათდება ,,ივერიის “ პანდემიის პერიოდის პუბლიკაციები?

პანდემია და ,,ივერიის“ სარედაქციო სტრატეგია

ილია ჭავჭავაძის, როგორც გაზეთ ,,ივერიის“ რედაქტორის, ხედვა მკაფიოდ გამოიხატა 1877 წლის 3 მარტს გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ,,წინასიტყვაობიდან“, რომელიც ,,ივერიის“ მეთაური (სარედაქციო) წერილია და არსებითად გამოხატავს ილიას შეხედულებებს გამოცემის ფუნქციისა და მისიის შესახებ. ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მუდმივად თვალის მიდევნება, განსაცდელის დროს საზოგადოების თანადგომა და მსახურება, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო თემების წარმოჩენა და განხილვა, საზოგადოების გააქტიურება და ჩართვა საქვეყნო საქმეში. სწორედ ამ პრინციპებით მოქმედებს იგი ხოლერას პანდემიის პერიოდშიც : - ,,ცხოვრება, რაც უნდა უძლური, მიმკვდარი და უღონო იყოს, იმოდენად ღირს-შესანიშნავი რამ არის, რომ ჟურნალ-

გაზეთობას არ შეუძლიან თვის ერთგვარს დანიშნულებას აჰყვეს და ცხოვრებას თვალი და ყური არ ათხოვოს. როგორიც უნდა იყვეს ცხოვრება, ძლიერი თუ უძლური, მაღალი თუ დაბალი, ჟურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დააკვირვოს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს. იმიტომ, რომ ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია, მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავკარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველ საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის დაკვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმეზედ ექნება ლაპარაკი, თუ უმცირეს საგანზედ — ყოველგან და ყოველსფერში ჟურნალ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა(ჭავჭავაძე ი. 1877, გვ.1).

აღსანიშნავია, რომ ეპიდემიასთან ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე ჩართული იყო როგორც „ივერიის“ რედაქტორი, ასევე, როგორც თავმჯდომარე სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკისა, რომელიც სოლიდურ თანხას გასცემდა მოსახლეობის დასახმარებლად: - ,,თბილისში ქოლერის შემთხვევებთან დაკავშირებით, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელობამ თბილისის გუბერნიის უღარიბეს მოსახლეობას შესწირა საკმაოდ დიდი თანხა - 20 ათასი მანეთი, რომელიც ხოლერას წინააღმდეგ ბრძოლისთვის იყო განკუთვნილი“ (რეხვიაშვილი, 1892).

,,ივერიის“ პუბლიკაციებში ,,ხოლერა“ გააზრებულია სოციალურ-ეკონომიკურ საფრთხედ, რომელიც ქვეყანას დიდ განსაცდელად ევლინება, რასაც გამოცემა წარმოაჩენს შემდეგი მთავარი მიმართულებებით:

1. მოსახლეობის სრულად ინფორმირება და ზრუნვა მისი ფიზიკური გადარჩენისათვის;
2. მოცემულ ეტაპზე არსებული სამედიცინო ცოდნისა და თანამედროვე მედიცინის მიღწევების გავრცელება;
3. კონტროლის ფუნქცია - ჩვენება იმისა, თუ როგორ უმკლავდებიან ცალკეული სამსახურები თავსდატეხილ პანდემიას. ნაკლისა და ხარვეზების ოპერატიულად გამომზეურება;

4. პანდემიის სოციალურ - ეკონომიკური ასპექტი;

5. ,,ხოლერას" თემის პუბლიცისტური ინტერპრეტაციები - ქვეტექსტები და გზავნილები;

6. თემის მრავალფეროვნად ასახვა (ჟანრები);

7. მხატვრული ნაწარმოებები.

ყველა ეს მიმართულება ქმნის თემის გაშუქების გააზრებულ სტრატეგიას, რომლისთვისაც არცერთი მათგანი არ არის მეორეხარისხოვანი.

როგორც აღვნიშნეთ, ,,ივერიამ" ადრევე მიაქცია ყურადღება ხოლერას, როგორც კი ბაქოდან გავრცელდა პირველი შემთხვევები. ამგვარად, ბაქოში ხოლერა გაჩნდა 1892 წლის 7 ივნისს, ხოლო საქართველოში - 11 ივნისს. „ივერიის" ერთ მეთაურ წერილში ვკითხულობთ: ბაქოსგან განსხვავებით, თბილისი მომზადებული დახვდა პანდემიას: ,,ჩვენმა ქალაქმა, მისდა მკვიდრთა სასახელოდ, დიდად საქებური სიფრთხილე და მხნეობა გამოიჩინა ჯერ იმაში, რომ ამ უბედურების ხელის შემწყობს, ფეხის მომკიდებელს უწმინდურობას ბოლო მოუღო ქალაქში. ქალაქი გასუფთავდა და, რაც ძალი და ღონე აქვს კიდევაც იწმინდება დღე და ღამე. დიდი ღვაწლი და სამსახური გაუწია ქალაქს და ქალაქის მკვიდრთა დაუძინებელმა გარჯამ და მხნეობამ ქალაქის მოურავისამ, პოლიციისამ და თვითონ მკვიდრნიც ქალაქისა არაფერს არ ჰზოგავენ, რომ ხელი შეუწყონ მისდამი მზრუნველთ ამ ავი სენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ბ-ნი ქალაქის მოურავი, ქალაქის პოლიცმეისტერი, სანიტარების მოთავენი, ექიმნი და ხმოსნები ქალაქის გამგეობისანი სრულის ჩვენის გულითადის მადლობის ღირსნი არიან, რომ ასე თავ-გამოდებით, უშიშრად, თავ-გამომეტებით ირჯებიან ხალხის დასახსნელად"(ივერია 1892ა, გვ.1).

1892 წლის 11 აგვისტოს „ივერია" მკითხველს ატყობინებს, რომ ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის კომიტეტის საგანგებო კრებას დაუსახავს შემდეგი ღონისძიებები: აუკრძალავთ ეკლესიების გალავნებში საღმრთოს დაკვლა, მტკვარში ბანაობა და მტკვრის წყლის ხმარება, ასევე, ბაზარში უვარგისი პროდუქტის გაყიდვა. გამოცემის ყოველი ნომერი ოპერატიულად აქვეყნებს ფაქტობრივ-სტატისტიკურ, ზუსტ მონაცემებს დაავადებულთა და გარდაცვლილთა შესახებ, რაც დინამიკაში ქმნის უტყუარ სურათს პანდემიის დასაწყისიდან, კულმინაციამდე და ბოლოს, დაღმასვლამდე. გაზეთი სიზუსტით წარმოაჩენს ინფექციის გავრცელების მასშტაბებს და ოპერატიულად აწვდის მკითხველს ცნობებს დაავადების მიმდინარეობის შესახებ, მეტწილად, ორი რუბრიკით: ,,ახალი ამბავი" და ,,ოფიციალური ცნობები ხოლერას შესახებ".

მოსახლეობაზე ზრუნვით არის განპირობებული პრევენციული ხასიათის საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც დაავადებისგან თავის დაზღვევას ისახავს მიზნად და სამედიცინო ცოდნას, მედიცინის სიახლეებსა თუ მკურნალობის ახალ, პოზიტიურ გამოცდილებას უზიარებს მკითხველს. მაგალითად, ,,ივერიაში" ოპერატიულად ქვეყნდება ინფორმაციები ხოლერას საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ, რაც იმდროინდელი მედიცინის დიდი მიღწევა იყო. პუბლიკაცია სათაურით, ,,ხოლერის აცრა" მკითხველს მოუთხრობს ევროპაში ჩატარებული ცდების შესახებ: - ,,დასავლეთ ევროპის მეცნიერნი ბევრსა სცდილობენ, როგორმე ბოლო მოუღონ საშინელს სენს - ხოლერას. მას შემდეგ, რაც კოხმა ხოლერის ბაქტერიები აღმოაჩინა, მეცნიერთ დიდი იმედი მიეცათ, რომ ადრე თუ გვიან ხოლერის წინააღმდეგ ნამდვილსა და უებარს წამალს აღმოაჩენენ. ასეთ წამლად მეცნიერთ ხოლერის აცრა მიაჩნიათ" (ივერია 1892 ბ, გვ.3). ვაქცინის თემას გამოცემამ მეორე პუბლიკაციაც მიუძღვნა, 1892 წლის 4 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია მასალა ,,ხოლერის საწინააღმდეგო ვაკცინის [(ჩირქის) აცრა]". ავტორი, თედო სახოკია, მკითხველს მოუთხრობს პარიზის პასტერის ინსტიტუტის ბაქტერიოლოგის, იმუნოლოგის, ეპიდემიოლოგის, შავი ჭირისა და ხოლერის პირველი ვაქცინების შემქნელის, ვოლდემარ ჰავკინის (1860-1930) საკუთარ თავზე ჩატარებული ექპერიმენტის შესახებ. ავტორმა სრულად თარგმნა ჰავკინის მოხსენება, რომელიც მის მიერ პირველად ჩატარებული ცდების შედეგებს ასახავს. თ. სახოკია ,,კაცობრიობისა და მეცნიერების სიყვარულით გამსჭვალულს" უწოდებს მეცნიერის თავგანწირულ ქმედებას და დასძენს: ,,ღმერთმა ჰქნას, რომ ამათსავე ჰაზრს დასდგომოდნენ სხვა მსწავლულებიც კაცობრიობის სადღეგრძელოდ და საკეთილდღეოდ" (სახოკია, 1892. გვ.3).

პანდემიის ამსახველი ინფორმაციის გეოგრაფიული არეალი შეუზღუდავია. გამოცემა აშუქებს, პრაქტიკულად, ყველა იმ რეგიონს - ქალაქსა და სოფელს, სადაც კი, დაავადება ჩნდება და ვრცელდება. მეტწილად, ამ თემას შეეხება სტატიები რუბრიკით: ,,ქალაქსა და სოფელში". მასალას მოცემული რუბრიკისათვის ,,ივერიას" აწვდიან ადგილობრივი კორესპონდენტები-ჟურნალისტები, რომლებიც პირუთვნელად ასახავენ მოსახლეობის მდგომარეობას რეგიონებში და დაუფარავად, მწვავედ წარმოაჩენენ იქ არსებულ პრობლემებს. ამგვარი პუბლიკაციები გვიჩვენებს ინფექციის გავრცელების ტრაექტორიას და ხოლერასთან

გამკლავების პროცესის პოზიტიურ თუ ნეგატიურ მხარეებს. ყურადღება გამახვილებელია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, ექიმითა და წამლით უზრუნველყოფა, სამკურნალო დაწესებულებების გახსნა და მათი აღჭურვა, სანიტარული ნორმების დაცვა, დახმარებების საჭიროება და სხვ.

,,ივერია" მუდმივად აქვეყნებს ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა კრებების ანგარიშებს. ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის მიერ ,,ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის" ტფილისის გუბერნიის სოფლების დასახმარებლად გამართულ კრებაზე ქვემოთ მოხმობილი ილია ჭავჭავაძის გამოსვლა ადასტურებს, რომ თავსდატეხილ განსაცდელთან თავგადადებული ბრძოლა, ღარიბი მოსახლეობისათვის შემწეობა და მუდმივი გარჯა მას ყველა სახელმწიფო მოხელის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა, და თუ საქმე რიგზე ვერ იყო, ჩვეულებისამებრ, არც მწვავე კრიტიკას ერიდებოდა: - ,,რაიც შეეხება მაზრის მარშლებს, იმათ შეუძლიანთ დიდი სიკეთე გაუწიონ ქვეყანას, თუ კი თავს იდებენ და მოუვლიან გაჭირვებულ სოფლებსა. მივიდნენ, გაამხნეონ ხალხი, შეჰკრიბონ შემოწირულობანი და გაასუფთაონ სოფლები, როგორც ჰმოქმედებენ სიღნაღის, ბორჩალოს და თელავის მარშლები. საუბედუროდ, გორის ბაზრის მარშლისა არა ისმის რა საქებური ამ მხრივ. აი, ჩვენა ვთხოვოთ, რომ ყველანი შესაფერისად გაისარჯნენ. თვით პაწაწინა სოფლები ახერხებენ ორმოც, სამოცის თუმნის გამოღებას, რომ შეებრძოლონ ხოლერას, ნუთუ მარშლები ამისთანა საქმეს ვერ გააბედვინებენ ყველა სხვა სოფლებს, რომელთაც ესმით, რა დიდი უბედურებაა მათთვის ხოლერა?!" (ივერია, 1892 გ. გვ.3).

გამოცემა მკითხველს აცნობს საზღვარგარეთის ქვეყნების, ასევე, რუსეთის ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვებს, ცნობებს მსოფლიოში პანდემიის მიმდინარეობის, დაავადებულთა და მსხვერპლთა შესახებ, ასევე, ცალკეულ საინტერესო და უჩვეულო ისტორიებს, ყვითელ ინფორმაციებსაც კი. ასეთი მასალა, მეტწილად, ქვეყნდება, რუბრიკით ,,ნარკვევი". ხოლერას თემაზე პუბლიკაციების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სნეულების სპეციფიკისა და მისგან თავდაცვის გზების ჩვენება, კარანტინის მნიშვნელობის ახსნა, ცალკეული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ექიმთა რჩევები და სხვა მრავალი.

,,ივერია" საქმიანად და მოზომილად აშუქებს ხოლერას პანდემიას და დაავადებით შექმნილი მდგომარეობის გაზვიადებას არასწორად მიიჩნევს, რადგან ასეთ ვითარებაში შიში, შფოთვა

და ქაოსი, ისედაც დაზაფრული საზოგადოებისათვის, საზიანო იყო. გაზეთი მიზანმიმართულად ზრუნავს საზოგადოების სულიერ მხნეობაზე და მას სიმამაცის, გამძლეობისა და ერთიანობისკენ მოუწოდებს.

ამგვარად, ,მოცემულ პერიოდში პრიორიტეტულია საინფორმაციო გაშუქება, რომლის დამახასიათებელი ტენდენციებია: ოპერატიულობა, სიზუსტე, რაც სტატისტიკური მონაცემებით გამოიხატება. გეოგრაფიული მრავალფეროვნება, სამედიცინო ცოდნის გავრცელება, ერთიანი მოქმედებისაკენ მოწოდება, მოვლენათა პოზიტიური და ნეგატიური (კრიტიკული) ასახვა.

ძირითადი პუბლიცისტური აქცენტები

ხოლერას პერიოდის ,,ივერიის" პუბლიცისტიკა უშუალოდ დაავადებასა და მისგან გამოწვეული პრობლემების გარდა, სხვადასხვა საჭირბოროტო თემასაც მოიცავს და ინტერპრეტირებულად წარმოაჩენს ავტორთა სათქმელს. სტატიების ავტორები არიან: ვაჟა ფშაველა, ა. ფრონელი (ალექსანდრე ყიფშიძე), სანო (სტეფანე ჭრელაშვილი), განი (ლუარსაბ ბოცვაძე), აბრა (ალექსანდრე ნიკიტინი), გრ. გველესიანი, ალ. მირიანაშვილი და სხვ. აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება პუბლიცისტური კორესპონდენციები საიდანაც მკითხველს მიეწოდებოდა საქმიანი მონათხრობი, ცალკეულ ქალაქებს და სოფლებში შექმნილი ვითარების შესახებ. თემები გააზრებულია სიღრმისეულად, განსხვავებული აზრობრივი დატვირთვით, ინდივიდუალური აღქმითა და მნიშვნელოვანი პუბლიცისტური აქცენტებით, რაც ხოლერას, როგორც კრიზისს, ფართო პოლიტიკური და სოციალური რაკურსით წარმოაჩენს.

ხოლერას თემაზე, ფსევდონიმით - ,,სანო", რამდენიმე სტატიას აქვეყნებს პუბლიცისტი სტეფანე ჭრელაშვილი (1857-1917), მაგალითად., ,,ხოლერიანის თავგადასავალი", ,,ქართველთა შორის", ,,ფელეტონი". ,,სანომ" საკუთარ თავზე იწვნია ხოლერას სიმძიმე და განცდილ შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველს. პერსონალური თავგადასავლის ვრცელი, თავისთავადი ვრცელი, გულწრფელი, ერთგვარად გაჭიანურებული მონათხრობი თითქოსდა არ შეიცავს რაიმე პუბლიცისტურ გზავნილს, თუმცა ტექსტის დინამიკას ცვლის და აძლიერებს მთავარი სათქმელი, რომელიც მიემართება საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს-ექიმებს, მედდებს, სანიტარულ მუშაკებს, მათ ურთულეს სამუშაოს, მცირე გასამრჯელოს, რომელიც,

ავტორის თქმით, ,,სირცხვილია სათქმელად", თხრობა დოკუმენტურია. ცალკეული დეტალებით, ფაქტებით, რეალური ადამიანების დასახელებით, ამბავი უთუოდ შთამბეჭდავია. ერთ სტატიაში ,,სანო" პანდემიის შედეგად შექმნილ მდგომარეობას განიხილავს და ამ მხრივ ადარებს ბაქოსა და თბილისში შექმნილ ვითარებას. წერილი ემოციური ტონალობით ხასიათდება, ავტორის მიერ უხვად გამოყენებული მხატვრული ხერხები: მხატვრულ შედარებები, მეტაფორები, ეპითეტები, აძლიერებს ტექსტის აზრობრივ აქცენტებს და ემსახურება მთავარ მიზანს – სრულიად საზოგადოების დარაზმვას: ,,აქ მარტო გაზეთით ვერას გავხდებით, აქ საჭიროა შეერთებული ენერგია, თავ-დაუზოგავი მხნეობა, მწერალისაც, მოხელისაც, მღვდელისაც, ბერისაც და საზოგადოდ, ყოველის შეგნებულის მწიგნობრისა"(სანო, 1892. გვ.1).

პუბლიცისტი ,,აბრა"- ალექსანდრე ნიკიტინი (1864-1925) მიიჩნევს, რომ მომავალში ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ასეთი განსაცდელი თავიდან იქნეს არიდებული, მიმართვის ფორმით დაწერილი ამ სტატიის ადრესატი მკითხველია, რომლისთვისაც, ავტორის აზრით, უმთავრესი მიზანი უნდა გახდეს ყოფითი კულტურის განვითარება. საზოგადოებამ ევროპის ქვეყნებისგან უნდა შეითვისოს ეს სამაგალითო კულტურა. ირონიულად აღნიშნავს: ,,ფაქიზ ევროპიელს ერთი მოსაწყენი ჩვეულება აქვს: მუდამ დღე სწმენდავს და ასუფთავებს სახლსაც და თავის თავს, ჩვენი დარბაისელნი და კეთილ-მორწმუნე კაცნი მხოლოდ დიდის დღესასწაულის წინა დღით დადიან აბანოში"(აბრა 1892:).

ევროპელთა შრომისმოყვარეობა, განათლება, მეცნიერების განვითარება, ყოფითი კულტურა ,,ევერიისთვის" ევროპეიზმის, როგორც კულტურული უნივერსალიზმის, გამოვლინებაა და არაერთ სტატიაშია გამოხატული. პარალელისათვის გავიხსენოთ 1889 წლის 16 დეკემბრით დათარიღებული ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილი ,,აზია წინათ და ახლა". ილია აღნიშნავს: ,,ისტორია და წარმატება-მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა, იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგან ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც. ესე

იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავე უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინრად გაიაროს“ (ჭავჭავაძე, 1889).

პანდემიის სოციალური და პოლიტიკური ასპექტი პუბლიკაციათა ერთი მთავარი მახასიათებელია. პანდემიას თან ახლავს სოციალური და ეკონომიკური კრიზისი, რასაც ,,ივერია“ ჯეროვან ყურადღებას მიაპყრობს. სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაციები და სტატიები იმის შესახებ, თუ რამდენად ერთიანია საზოგადოება ხოლერას წინააღმდეგ, რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას იჩენენ მეცენატები, მეწარმეები, რათა დაეხმარონ დაავადებულებსა და სოციალურად შეჭირვებულებს. გაზეთი მუდმივად აქვეყნებს იმ პიროვნებათა გვარებს, რომლებიც სოფლად თუ ქალაქად შემოწირულობას გასცემდნენ ხოლერასგან დაზარალებული ადამიანებისათვის. მძიმე დროების რეალისტური სურათები სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩენს არაერთ პრობლემას. შეჭირვებულ მოსახლეობას ერთად დაატყდა გვალვა, მოუსავლიანობა, უქონლობა და სნეულება, ამას ემატებოდა მოსახლეობის ნაწილის დაუმორჩილებლობა, ექიმისა და წამლის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება. გამოცემა მოუწოდებს ყველას, ვისაც ძალუძს, შემწეობა აღმოუჩინონ მკურნალებს, მოხელეებს, ღარიბ მოსახლეობას. პუბლიცისტურ წერილებში გამოხატულია შეჭირვებული გლეხისადმი თანაგრძნობა: ,,საწყალი ჩვენი გლეხი! რამდენნაირი ბაცილა არ ახვევია გარს. ღმერთმა მსხვილ-ფეხა და წვრილ-ფეხა ბაცილები არ აკმარა და ახლა შემოესია თვალთ-უჩინარი. ეეჰ! მახლას!! უბედურს კაცს ქვა აღმართშიც მიეწევაო“ (ივერია, 1892დ. გვ.2).

,,ივერიის“ გამორჩეული პუბლიცისტი, მოგვიანებით, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე, გრიგოლ გველესიანი (1879-1926), რუბრიკით ,,ფელეტონი“ - აქვეყნებს სტატიას - ,,ჩვენი სოფლები ხოლერობის დროს“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პანდემიის სოციალურ ასპექტზე, რაც გამოიხატება სოციალური კრიზისით. გარდაუვალია ვაჭრობის მოშლა, დეფიციტი პროდუქტებზე, გლეხკაცის დასუსტება, მოსახლეობის სიღატაკე. ამიტომაც, მისი აზრით, პირველ ყოვლისა, სოფელს ესაჭიროება ნივთიერი დახმარება,

შემწეობა და გაძლიერება: - ,,ხოლერა იგივე შიმშილია, თუ დამშეულს დროზედ არ მივაწოდეთ პური, სიკვდილი იმსხვერპლებს. თუ ხოლერით ავადმყოფს ან ჯერ მით ავადმყოფს, არ მივხედეთ დროზედ, ულმობელი სიკვდილი იმასაც შეიპყრობს - ორივე შემთხვევაში საჭიროა თადარიგი. თადარიგის მიღება კი შეიძლება მაშინ, როდესაც საკმაოდ იქნება ფული შეკრებილი სახალხო საქმის გასაძღოლად“ (გველესიანი,1892.გვ.2)

თვალსაჩინო პუბლიცისტის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ა. ფრონელის – ალექსანდრე ყიფშიძის (1862-1916) წერილები, მეტწილად, აქტუალურ, მოსაგვარებელ საკითხებს შეეხება. 1892 წლის ივლისის ბოლოს პანდემიის მწვავე პერიოდმა გადაიარა, სოფლად გახიზნული თბილისელები უკან ბრუნდებოდნენ და ქალაქიც შედარებით დამშვიდებული იყო. 27 ივლისს ნიკო ნიკოლაძემ გამოიჩინა ინიციატივა ქალაქის გამგეობისა და სანოტარო ექიმების შეერთებულ კრებაზე, რათა ქალაქისათვის არასაჭირო წამლები, სოფლებში გაეგზავნათ, რამაც კამათი გამოიწვია. კრება ვერ შეთანხმდა და საკითხის განხილვა მეორე დღისთვის გადაიდო. ,,ა. ფრონელი“ გამოთქვამს იმედს, რომ ეს საკითხი სოფლის სასიკეთოდ გადაწყდება:-,,თვით ქალაქი ტფილისი დიდის მადლობის ღირსია ამისთანა შემწეობისათვის. სწორედ მაშინ დაამტკიცებს ტფილისი, რომ იგი დედაა სოფლისა და არა დედინაცვალი, რომ ქალაქი ღირსია მეთაურობისა და პირველობისა, დედაქალაქობისა“(ა. ფრონელი, 1892, გვ.1).

თავად ილია ჭავჭავაძე გაზეთში აქვეყნებს ერთ შენიშვნას, ხელმოწერით ,,რედ“. ეს არის პასუხი, ,,ივერიის“ 1892 წლის 26 ნოემბერს ვარლამ ჭიჭინაძის პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილზე ,,დეზინფექცია და ჩვენი სტუდენტობა ხოლერის დროს“ (წერილი რედაქციას), რომელშიც ავტორი გამოცემას საყვედურობს, რომ მან დააგვიანა, დროულად არ მიმართა ახალგაზრდობას, არ შეატყობინა ,,ხალხის გაჭირვება“, რათა დახმარებოდა ქართული სოფლის მოსახლეობას. ილია ფაქტებით აბათილებს ავტორის ბრალდებას და ჩამოთვლის ყველა იმ პუბლიკაციას, რომელიც ხოლერას გავრცელებისთანავე გამოქვეყნდა. ეს პუბლიკაციებია: სტუდენტ ბადრიძის სტატია, ,,განის“ მეთაური სტატია, ,,ა. ფრონელის” მეთაური წერილი, რომელიც საზოგადოებას მოუწოდებდა სახოლერო ფონდის დაარსებისაკენ, ასევე, პავლე ყიფიანის წერილი, რომლითაც ახალგაზრდობას მოუხმობდა ხოლერას წინააღმდეგ საბრძოლველად.

ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ,,ფიქრები“ (ხოლერის გამო), ამ დროს ინფექციის დიდი ტალღა უკვე გადავლილი იყო, დაავადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი კი -შემცირებული. ეს ერთგვარად ,,ხელსაყრელი დრო“ იყო ხოლერას თემის სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოსაჩენად. ვაჟა, ამ სტატიით, საზოგადოებას მთავარ საბრძოლო მიზანს შეახსენებს. ცხადია, იგი ხოლერას, როგორც დაავადებას, ქვეყნისთვის ულმობელ და საშიშ მტრად მიიჩნევს, თუმცა აღშფოთებულია იმით გარემოებით, რომ საზოგადოება ასეთივე შემართებით არ იბრძვის ე.წ. მეორე ხოლერას დასამარცხებლად, მორჩილებით შეჰგუებია საქართველოს აწინდელ მდგომარეობას – რაც, მისი აზრით, ,,პირველი ხოლერას“ გავრცელებისა და საზოგადოების დაძაბუნების მთავარი მიზეზიც არის. ამგვარად, ხოლერა მძიმე სნეულებაა, ხოლო ,,მეორე ხოლერა“ ძლიერი, ძნელად დასამარცხებელი მტერია, რომელიც აფერხებს საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ წინსვლას. ამგვარად, საფრთხის აღმნიშვნელი მეტაფორაა. პირველი - ვაჟას ესახება ,,მტრის ხატად“, რომელიც გაცილებით იოლად დასამარცხებელი და წარმავალია, ვიდრე მეორე. საგანგაშოდ მიაჩნია, რომ ემოციებითა და შიშით შეპყრობილი ხალხი უმოქმედოა, რაც, მისი აზრით, გაცილებით დიდი პრობლემაა. სწორედ იმჟამინდელი საქართველოს კოლონიური მდგომარეობა, მისგან თავსდატეხილი ყველა სატკივრის გაცნობიერება და მის დასაძლევად საზოგადოების მობილიზებაა სტატიის მთავარი მიზანდასახულება: - ,,აბა გადავავლოთ ჩვენ მხარეს თვალი, აბა კარგად დავუკვირდეთ ჩვენს გარემოებას, ჩვენს წამხდარ საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არ ვიყოთ ავად. ამ ხოლერას ვერ ვუპოვნეთ ვერ საიდამ წამალი, იმაზედ არც სისუფთავე სჭრის, არც დეზინფექცია. აბა, ხოლერა, ნამდვილი ხოლერა ეს გახლავთ. ეს ისეთი ხოლერაა, განა ორი ათასში ათასს მოჰკლავს და ათასი გადარჩება?! არა, ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს. რატომ ამ ხოლერაზე არა ყაყანებს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მოძმე? იქნება ის ხოლერა არსად არსებობდეს და მე მეჩვნებოდეს? არა, არსებობს, მაგრამ იმდენი ვერა ჰხედავს იმას, ამ ,,ბაცილების“ დედას, და იმდენი ხმაურობა, ჟრიამული იმიტომ არ ისმის ამ მეორე ჯურის ხოლერაზედ“ (ვაჟა-ფშაველა, 1892, გვ.1). ცხადია, ამ საკითხზე ილია ვაჟას თანამოაზრე იყო.

ყოველი ეპიდემიისა და პანდემიისათვის დამახასიათებელია დეზინფორმაციის, მითების, ჭორების გავრცელება, ,,მტრის ხატის“ შექმნა. ამ მხრივ არც ხოლერას პერიოდი იყო

გამონაკლისი. ასე მაგალითად, 1892 წლის 12 ივლისს გამოქვეყნებული ,,ახალი ამბავი“ გვაუწყებს: ,,ცრუმორწმუნე, მდაბიო ხალხში დაჭეშმარიტებით სჯერათ, რომ ხოლერა ორსულსა და ფეხ-მძიმე დედაკაცს არ ეკარებაო, ამიტომ, ამ რწმუნებისა გამო, ფეხ-მძიმე დედაკაცს ხაბა-ხუბა ხილსაც აჭმევენ და, მოუდუღარს წყალსაც ასმევენ, საზოგადოდ არაფრით უფრთხილდებიან, რომ სენი არ გადაედოს“. ხოლო 28 ივნისის ,,ახალ ამბავში“ აღნიშნულია: ,,ხალხში ლაპარაკობენ, რომ ვხედავთ, ქალაქში ხოლერა არ არის, მაგრამ ნასვამს კაცს ან ცოტად, ავადმყოფს რომ ჰხედავენ ქუჩაში, შინ აღარ უშვებენ, პოლიციელები იჭერენ, მიჰყავთ საავადმყოფოში და ექიმები წამალს აძლევენ და ჰკვლენ, მერე იქვე სწვენო. ზოგჯერ ხოლერიან ავადმყოფთან აწვენენ და ძალად ხოლერას ჰყრიანო“.

გაზეთი თანმიმდევრულად ებრძვის ყალბ ინფორმაციებს, შიშს, ცრურწმენებს, ამხელს სიცრუის გამავრცელებლებს და ამ ყოველივეს ზუსტ ინფორმაციას, ცოდნასა და განათლებას უპირისპირებს.

,,ივერიის“ იმდროინდელი პუბლიკაციების მთავარი სათქმელი შემდეგი ძირითადი ფრეიმებით შუქდება:

,,საერთო მტრის“ (ხოლერას) დასამარცხებლად აუცილებელია გაერთიანებული, გააზრებული ბრძოლა;

ხოლერას სნეულებით გამოწვეული შიში დაიძლევა ცოდნით, განათლებით, სულიერი სიძლიერით;

პანდემიისაგან თავის დასაცავად აუცილებელია ყოფითი კულტურის ამაღლება და ევროპის ქვეყნების მაგალითების გაზიარება;

აუცილებელია შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება, ხელშეწყობა და მათი გაძლიერება შემწეობით;

საჭიროა სათანდო დასკვნების გამოტანა, რათა ნაკლები ზიანი მოიტანოს ყოველმა შემდგომმა ეპიდემიამ.

ცრურწმენენის, დეზინფორმაციის, უმეცრებისაგან დასაცავად, განათლება და ცოდნა პანდემიის პერიოდში ყველაზე ძლიერი იარაღია.

არსებობს მეორე, ხოლერაზე უფრო ,,ძლიერი ხოლერა“, რომლის დამარცხებაც ბევრად საძნელო ამოცანაა.

როგორც აღვნიშნეთ, ,,ივერია“ სიცრუეს უპირისპირებდა არგუმენტირებულ სიმართლეს. პუბლიცისტთა აზრით, მითები და ცრუ ინფორმაციები, ხოლერას შესახებ, განათლების დეფიციტიდან მომდინარეობდა, ამიტომაც, მიიჩნევდნენ, რომ საჭიროა ხალხის ინფორმიერება, ცოდნის გაღრმავება, ცრურწმენებსა და დეზინფორმაციასთან ბრძოლა.

უმთავრესად, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების იმდროინდელი შესაძლებლობებისათვის ნიშანდობლივი იყო ისეთი ცრურწმენები და კონსპირაციული მონათხრობები, რომლებიც საგაზეთო მასალებშია ასახული. მაგ., რომ ხოლერა არ არსებობს, არამედ, ეს სენი მოგონილია. ექიმები და პოლიციელები ერთად მოქმედებენ მოსახლეობის წინააღმდეგ, რათა იძულებით მოათავსონ საავადმყოფოებში და შეჰყარონ ხალხს. ექიმები მკურნალობის შედეგად კლავენ ინფექციით დაავადებულებს. ხოლერა მოიგონეს ისედაც შეჭირვებული მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად დასაბეჩავებლად. აგრეთვე, აღწერილია იმდროისათვის დამახასიათებელი დაავადების დამალვის შემთხვევები და მრავალი სხვ.

პარალელისათვის საინტერესოა თანამედროვე პანდემიის, COVID 19 -ის მაგალითი, როდესაც მასმედია, ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობების წყალობით, არც თუ იშვიათად, თავად ავრცელებს დეზინფორმაციის მოზღვავებულ ნაკადს - ,,ინფოდემიას“, რაც განსხვავებულ ნარატივებს ქმნის და მოტივირებულია, დიდწილად, გეოსტრატეგიული, პოლიტიკური და კომერციული ინტერესებით. რა თქმა უნდა, თანამედროვე ინფოდემია ბევრად მასშტაბური მოვლენაა და მრავალი ასპექტისა და კონტექსტის შემცველია.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამჟამინდელი პანდემია ვერ გადაიქცა ზეპარტიულ საკითხად და კონტრასტული გაშუქება, რაც ქართული პოლარიზებული მედიისთვის არის დამახასიათებელი, კოვიდპანდემიაზეც ვრცელდება.

როგორც არასდროს, დღეს დილემურია ყალბი ახალი ამბები (Fake News), რომელიც საზოგადოებისთვის ძალზე დამაზიანებელია. იგი მრავალფეროვანი შინაარსისაა და სხვადასხვა მიზნით ვრცელდება როგორც ტრადიციულ, ასევე, სოციალურ მედიაში. ყალბი ამბების პოლიტიკური მიზნებით დაინტერესებულნი არიან როგორც შიდა, ასევე, გარე პოლიტიკური აქტორები. შეინიშნება პანდემიის თემის პოლიტიკური კონტექსტიც-პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისუსტეებით მანიპულაცია. ფინანსური სარგებლის მისაღებად

გამოყენებული ყალბი ამბები კი, სკანდალური სათაურებით, მედიააუდიტორიის საკმაოდ მოზრდილ ნაწილს იზიდავს. ცხადია, ინტერნეტით, სოციალური მედიით გავრცელებული დეზინფორმაციები კონკრეტულ მიზნებს ისახავს. ამ მხრივ, არცთუ იშვიათად, ე.წ. მეინსტრიმ მედიაც სცოდავს, რასაც ადასტურებს ქართულ მედიაკრიტიკულ გამოცემებში შეფასებული არაერთი მაგალითი.

კოვიდის პერიოდის ინფოდემიაში სხვადასხვა ეტაპი მოინიშნება. თავდაპირველად ვრცელდებოდა მცდარი ინფორმაციები, რომ ვირუსი საერთოდ არ არსებობს და ჩვეულებრივი გრიპის იდენტურია, პირბადე მავნებელია და ადამიანს არ იცავს ინფექციისგან; ,,კოსპირაციული თეორიები“ - რომ ხელოვნურად არის გაზრდილი დაავადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი, სამყაროს ,,ყოვლიშემძლე“ ძალები აპირებენ ადამიანების განადგურებას და სხვა მრავალი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს უკვე სერიოზულად განიხილება მაგ., ჰიპოთეზა კოვიდის ლაბორატორიული წარმოშობის შესახებ.

მე-19 საუკუნის ,,ივერიაში“ კაცობრიობის დიდ მიღწევად არის გამოცხადებული იმხანად შექმნილი ხოლერას საწინააღმდეგო ვაქცინა, ხოლო COVID 19 -ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიმართ სკეპტიკური განწყობა არსებობს არა მხოლოდ საზოგადოების მოზრდილ ნაწილში, არამედ ცალკეულ მედიაარხებშიც. მეტწილად კი, სოციალურ მედიაშია ეს თემა ე.წ. პროვაქსერებისა და ანტივაქსერების მუდმივი, მწვავე კამათის საგნად ქცეული.

როგორც ვხედავთ, ყველა პანდემიისათვის დამახასიათებელია აღქმების მრავალგვარობა, გარკვეულწილად, მოსახლეობის უნდობლობა, მითები და ,,კონსპირაციული თეორიები“, რაც, ცხადია, ცალკე საკვლევი თემაა.

დასკვნა

ამგვარად, საკვლევი მასალის შესწავლისა და ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ გაზეთი ,,ივერია“ ხოლერას პანდემიას, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, კონცეპტუალური სარედაქციო პოლიტიკით აშუქებდა, რომელიც მოიცავდა თემის ყველა აქტუალურ ასპექტს.

მათგან უმთავრესი იყო გამოცემის საინფორმაციო ნაკადი, რომელიც ასახავდა ინფექციის გავრცელების ყოველდღიურ სტატისტიკას, დაავადების მიმდინარეობის პროცესს, მონაცემებს

გარდაცვლილთა შესახებ. საინფორმაციო ველი მოიცავს არა მხოლოდ ქართულ სინამდვილეს, არამედ მეზობელი ქვეყნების, რუსეთის იმპერიის რეგიონებსა და მსოფლიოს ქვეყნებს. ამასთან ერთად, ,,ივერიისათვის" მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის დაცვა ინფექციისაგან და ზრუნვა მისი ფიზიკური გადარჩენისათვის. იბეჭდება სამედიცინო რჩევები - უხვი მასალა წამლობის, პრევენციული ღონისძიებების, აცრის, მეცნიერების სიახლეების შესახებ.

გაზეთი მუდმივად ახალისებდა საზოგადოებისათვის შემწეობის მაგალითებს და მკითხველს აცნობდა ქველმოქმედებსა და მეცენატებს, აქვეყნებდა მათ სახელებსა და გვარებს, მონაცემებს გაღებული თანხების შესახებ.

ხოლერას პანდემიის გაშუქების სტრატეგიისა და სპეციფიკის მაჩვენებელია ქალაქისა და სოფლის განუყოფლობის მნიშვნელობის, ზოგადად, საზოგადოების ერთიანობის ხაზგასმა. რეგიონების კორესპონდენტთა და პუბლიცისტთა მუდმივი თანამშრომლობა გაზეთში.

პუბლიცისტიკაში მოინიშნება რამდენიმე ძირითადი ტენდენცია: 1. აქტუალურ პრობლემათა ანალიზი. 2. სოციალური საკითხების აქტუალიზება. 3. მანკიერებათა გამომზეურება და კრიტიკული განსჯა. 4. ყალბი ინფორმაციისა და ცრურწმენებისაგან მოსახლეობის დაცვა. 5. თემის ინტერპრეტირება და ალეგორიული გააზრება, საქართველოს პოლიტიკურ - ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, 6. დასკვნების გამოტანა და პრევენციული მზადება ეპიდემიებისა და პანდემიებისაგან თავის დასაცავად.

დაბოლოს, ,,ივერია" თანამედროვე მედიისთვისაც პასუხისმგებლიანი გამოცემის თვალსაჩინო მაგალითია. ცხადია, ,,დროის ფაქტორი" დიდ როლს ასრულებს მასმედიის თვისებრიობაზე, თუმცა მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართული კლასიკური ჟურნალისტიკის გამოცდილება სადღეისოდაც უთუოდ აქტუალურია, როგორც ილია ჭავჭავაძის რედაქტორული ღვაწლის სრულად წარმოჩენის, ასევე, პანდემიის თემის თანამედროვე რეცეფციის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

Davie, G. 2014. Framing Theory. Mass Communication Theory: from Theory to Practical Application. განთავსებულია 18 თებერვლიდან, 2014)

მის.: https://masscommtheory.com/theory-overviews/framing-theory [ონ-ლაინ სტატია]

Coleman, R., McCombs M., Shaw D., Weaver D., 2009, Agenda Setting, (ონლაინგამოცემა, The (Handbook of Journalism Studies, , ganTavsebulia ianvridan.

მის.: https://www.routledgehandbooks.com/doi/10.4324/9780203877685.ch11)

აბრა 1892 : აბრა. მასლაათი ხოლერის გამო, გაზ., ივერია, 1 აგვისტო.

გველესიანი, გრ. 1892. ,,ჩვენი სოფლები ხოლერობის დროს". გაზ.,ივერია. 4 სექტემბერი.

ვაჟა -ფშაველა.1892. ,,ფიქრები" (ხოლერის გამო). გაზ. ივერია, 17 ოქტომბერი: 1

ივერია (1890) ,,ნარკვევი", (ჟურნალ-გაზეთებიდამ), 15 ივნისი.

ივერია 1892ა. ,, მეთაური წერილი". 5 ივლისი,

ივერია 1892 ბ. ,,ხოლერის აცრა". ივერია. 6 აგვისტო.

ივერია 1892 გ. ,,ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა კრება". 11 აგვისტო.

ივერია 1892 დ: წერილი ქართლითგან, გაზ.22 ივლისი.

რეხვიაშვილი ჯ 2020. ,, შავი ჭირი, ქოლერა, სახადი, ,,ისპანკა" ... -რას გადაურჩა საქართველო?! (რადიოთავისუფლება. განთავსებულია 4 მარტიდან).
მის.: https://www.radiotavisupleba.ge › შავი-ჭირი-ქოლერა
სანო 1892: სანო. ქართველთა შორის, გაზ., ივერია, 22 ივლისი.

სახოკია, 1892. ,,სახოკია თ. ხოლერის საწინააღმდეგო ვაკცინის (ჩირქის) აცრა". გაზ. ივერია. 4 სექტემბერი.

ფრონელი ა. 1892.,,ოფიციალური ცნობებიდგან", გაზ., ივერია, 29 ივლისი.

ჭავჭავაძე, ი. 1877. ,,წინასიტყვაობა". გაზ., ივერია, 3 მარტი
ჭავჭავაძე, ი. 1889: ჭავჭავაძე ი., აზია წინათ და ახლა. [ონ-ლაინ ტექსტი].(საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა.

მის.: https://gdi.ge/ge/publication/ilia-chavchavadze1.page)